<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---დეკემბერი 2021 წელი

ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის ქუჩის გაგრძელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ჩუღურეთის რაიონში, გაგრძელდეს ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის ქუჩა, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

1:1,250
X=487141 Y=4619602
ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის ქ.
X=487017 Y=4619494

Gmail

tamar paichadze <biuroebi20@gmail.com>

FW: ივერთუბანში ქუჩის სახელდება

1 message

Mon, Aug 9, 2021 at 11:50 AM

Info Info <Info@tca.gov.ge>
To: "biuroebi20@gmail.com" <biuroebi20@gmail.com>

From: maya abramishvili <maya_abramishvili@yahoo.com>
Sent: Monday, August 9, 2021 10:46 AM
To: Info Info; biuroebi20@gmail.com
Subject: ივერთუბანში ქუჩის სახელდება

გამარჯობა ბატონო გიორგი,

თხოვნით მივმართავთ საკრებულოს თავჯდომარეს გიორგი ტყემალაძეს

მოგახსენებთ, რომ ქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში მდებარე უბანში- ივერთუბანში , სადაც მდებარეობს ჩემს მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 81.21.04.497 (მესაკუთრე იოსებ ჯაფარიძე პ/ნ 01024033665). ჩვენი მიწის ნაკვეთის ნაკვეთამდე მიმავალი გზა არის სერვიტუტი. ხოლო აღნიშნული სერვიტუტი არის გაგრძელება წერეთელი-ოუმანიშვილის ქუჩის , შესაბამისად გვჭირდება ამ გზის სახელდება (ქუჩას ეიესიჭოს სახელი და ძისაძართი).

ვინაიდან ჩვენს უბანში მიმდინარეობს გზების რეაბილიტაცია და ჩვენი მისამართი ჯერჯერობით არაა სახლდებული, შესაბამისად ვერ ვახდენთ გზის რეაბილიტაციის თხოვნის შესახებ განაცხადის გაკეთებას.

გთხოვთ მოახდინოთ რეაგირება და მოახდინოთ ჩვენი ქუჩის სახელდება.

ასევე გთხოვთ დამიდასტუროთ წერილის მიღება.

პატივისცემით

იოსებ ჯაფარიძე
ტელ: 555 42 05 92

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-03212989**
თარიღი: **25/10/2021**
პინი: **4442**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი მოქალაქე იოსებ ჯაფარიძის 2021 წლის 9 აგვისტოს საქმე #19/032122139-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს ჩუღურეთის რაიონში 81.21.04.497 საკადასტრო ერთეულთან გამავალი ქუჩის სახელდებას.
გთხოვთ, განცხადებაში მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით გამოგვიგზავნოთ ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის ქუჩის გაგრძელების სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 1 (ერთი) გვერდი.

მიხეილ ამაშუკელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01213081970**
თარიღი: **04/11/2021**
პინი: **9118**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ბ-ნ მიხეილ ამაშუკელს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო მიხეილ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 25.10.2021 წლის #03-03212989 (25.10.2021წ. #14-01212981650-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი